ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-19

ქ. თბილისი 16 მარტი, 2015 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ნინო ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აუტოჰაუზი" მისი დირექტორის მამუკა დაუშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ევროკავშირის (წარმოდგენილი საქართველოში ევროკომისიის სახით) გრანტის (პროექტი „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში") ფარგლებში ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV-50110000), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 მაისის №769 განკარგულების, 2014 წლის 27 მაისის ევროკავშირსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების დანართი №4-ში გათვალისწინებული შესყიდვის პროცედურების (შესყიდვა ბენეფიციარების მიერ გრანტის ფარგლებში ევროკავშირის საგარეო ქმედებების კონტექსტში) თანახმად გამარტივებული შესყიდვის საშულებით (მუხლი 4.3).

1.2 შესყიდვის ობიექტია შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ავტომანქანისათვის - ოპელ ანტარას (სახელმწიფო ნომრით VAV-755) სათადარიგო ნაწილი და ტექნიკური მომსახურება, კერძოდ: 1 ცალი „სტუპიცა" ღირებულებით 677.97 ლარი და 1 ცალი „სტუპიცას" შეცვლის მომსახურება ღირებულებით 33.90 ლარი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 711.87 (შვიდასთერთმეტი ლარი და 87 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების ჩათვლით;

2.3 შესყიდვის ობიექტის საბოლოო ღირებულების დაზუსტება (შემცირდება) შესაძლებელია „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების და მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე.

2.4 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, ისე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს გარდა დღგ-სი, პროექტი გათავისფლებულია დღგ-სგან.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს;

3.3 ხელშეკრულების ფარგლებში შეცვლილი ავტონაწილების საგარანტიო მომსახურება შეადგენს 1 (ერთი) წელს, საგარანტიო პერიოდის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება მიმწოდებლის იურიდიული მისამართის მიხედვით.

4.2 საქონლისა და მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, მათ შორის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენა.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 27 მარტის ჩათვლით.

4.4 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების შესყიდვის ობიექტის შესაბამისობაზე კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირები (ინსპექტირების ჯგუფი) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი მანიჟაშვილი და სააგენტოს პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში - II“ სამშენებლო კონსულტანტი პაატა გამბარაშვილი, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნათია ხუჯაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, საქონლისა და მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- სახელმწიფო შესყიდვების კანონის 22^1 მუხლის საფუძველზე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინოს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოთხოვნილი შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია და/ან ინფორმაცია;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე ეტაპების მიხედვით უკვე შესრულებული) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და „შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

13.5 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო
მის: ქ. თბილისი,
აკ. წერეთლის გამზ. №67ა
სახელმწიფო ხაზინა
BIC კოდ: TRESGE22
ა/ა № 200122900
ს/კოდი: 202307404

სააგენტოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნ. ინწკირველი

მიმწოდებელი:

შპს „აუტოჰაუზი“
მის: ქ. თბილისი,
დ. აღმაშენებლის ხეივანი 7კმ
ს.ს. „თიბისი ბანკი“
BIC კოდ: TBCBGE22
ა/ა GE53TB0600000036467045
ს/კოდი: 204967991

შპს „აუტოჰაუზი“-ს
დირექტორი

მ. დაუშვილი